ნიკა არევაძე

ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, [ნიკა არევაძე]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ნიკა არევაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____

თანახელმძღვანელი: _____

თარიღი :

რ ე ზ ი უ მ ე

სამართალი ცოცხალი ორგანიზმია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი გამუდმებულად ვითარდება და რეაგირებს დროისა და ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად. თანამედროვე მსოფლიოს, პრაქტიკული სამართლის მნიშვნელოვან გამოწვევას, სამოქალაქო ბრუნვის სიჩქარის გაზრდა წარმოადგენს, რისი მიღების მიზნითაც საკანონმდებლო სივრცე არ წყვეტს სხვადასხვა ეფექტური მექანიზმების შემუშავებას, რაც შესაძლებელს გახდის კრედიტორის უმოკლეს ვადებში, მაქსიმალურად ეფექტიანად დაკმაყოფილებას, დასახელებული თავისმხრივ მნიშვნელოვნად ზრდის და ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას, რაც ესეც უნდა იყოს, თუმცა არა სამართლის უმთავრესი პრინციპის, თანაბარუფლებიანობის ხარჯზე.

ნოტარიუსისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების დელეგირება, მიზნად ისახავს სამოქალაქო ბრუნვის სისწრაფის გაზრდასა და სახელშეკრულებო ვალდებულებებიდან გამომდინარე წარმოშობილი სასამართლო დავების მინიმიზირებას, რაც ცაკლე აღებული დაცვის ღირსი ინტერესია, თუმცა დღევანდელი მოცემულობით მოწესრიგების პირობებში საკამათოა როგორც ამ მიზნის მიღწევადობა, ასევე მისი შედეგი, კერძოდ ეჭვქვეშ დგება როგორც დეკლარირებული მიზნის მიღწევის შესაძლებლობა, ასევე ის ეფექტი რასაც ნაშრომში განხილული ინსტიტუტი იწვევს.

დღეს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა, იმდაგვარადაა კოდიფიცირებული, რომ ნოტარიუსს სააღსრულებო ფურცლის გაცემა უწევს მარტოოდენ კრედიტორის განცხადებასა და ვალდებულების ოდენობაზე

მითითების დაყრდნობით, ხოლო მოვალე ამ პროცესისგან განცალკევებით, მოწყვეტილადაა დარჩენილი.

წინამდებარე ნაშრომშის მიზანს სწორედ იმ თავისებურებების განხილვა წარმოადგენდა, რომელიც ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემას ახლავს თან, მასში განხილულია ის სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლითაც თვითონ კრედიტორს და მოვალეს შეუძლიათ დაიცვან საკუთარი უფლებები.

ჯამში შესაძლოა ითქვას, რომ კრედიტორს, ინტერესის დასაკმაყოფილებლად გააჩნია ფართე სპექტრი, უფლებათა რეალიზების უზრუნელსაყოფად, ანუ იძულებითი მექანიზმით შესრულების მიღებისთვის აუცილებელი აქტის, სააღსრულებო ფურცლის მისაღებად, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს; (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოს, თუკი ასეთი შეთანხმება მხარეთა შორის არსებობს) აღსრულების ეროვნულ ბიუროს და ნოტარიუსს. თავისმხრივ დასახელებული მექანიზმები წინამდებარე ნაშრომში ცალ-ცალკე იქნა განხილული ნოტარიუსის მერ სააღსრულებო ფურცლის გაცემასთან შედარების თვალაზრისით, ნაშრომის შემდეგი მიზნის, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის ეფექტიანობისა და დაბალანსებულობის შესამოწმებლად, კერძოდ შეესაბამება თუ არა, სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოქმედი მექანიზმი სამართლის პრინციპებს, რომელიც კრედიტორის დაკმაყოფილების ალტერნატიულ საშუალებებშია ასახული.

Abstract

Law is a living organism, which means that it is constantly evolving and responding to the demands of time and epoch. In the modern world, an important challenge of practical law is to increase the speed of civil turnover, for the purpose of which the legislative space does not stop developing various effective mechanisms, which makes enable for the creditor to be satisfied as efficiently as possible in the shortest possible time, significantly increases the named and promotes economic development, which it should be, but not at the expense of the fundamental principle law of equality.

Delegating the authority to issue a writ of enforcement to a notary, with the aim of increasing the speed of civil turnover and minimizing litigation arising out of contractual obligations which is a worthy interest of protection taken from the piece, however, in the present circumstances, both the achievement of this goal and its outcome are controversial, in particular, the possibility of achieving the declared goal, as well as the effect caused by the institution discussed in the paper.

Today, the issuance of a writ of enforcement by a notary is codified in such a way that the notary has to issue a writ of enforcement sheet based only on the statement of the creditor and the amount of the obligation, while the debtor is separated from this process.

The purpose of previous paper was to discuss the features that accompany the issuance of a writ of enforcement by a notary, it discusses the legal instruments by which the creditor and the debtor can protect their rights.

In general, it can be said that the creditor, in order to satisfy the interest, has a wide range, to ensure the realization of the rights, that is, to obtain the act of enforcement, the writ of enforecement, he can appeal to the court, (Including the arbitral tribunal, if such agreement exists between the parties) National Bureau of Enforcement and Notary. In turn The named mechanisms have been discussed separately in the present paper in terms of comparison with the issuance of a writ of enforcement by a notary, for the next purpose of the paper, to check the effectiveness and balance of the writ of execution issued by a notary, in particular, whether the current mechanism of issuing a writ of execution is in accordance with the principles of law, which are reflected in alternative means of creditor satisfaction.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი..... 9

1. ნოტარიუსის მონაწილეობა გარიგებებში..... 11

1.1. სანოტარო მოქმედებების ფარგლები..... 11

1.2. ნოტარიუსი და მისი ვალდებულებანი მხარეთა მიმართ..... 13

1.2.1. ნოტარიუსი..... 13

1.2.2. ნოტარიუსის ვალდებულებები..... 15

2. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა..... 16

2.1. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის წინაპირობები..... 16

2.1.1. კრედიტორის განცხადება..... 18

2.2. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ფარგლები..... 19

3. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი..... 23

3.1. სააღსრულებო ფურცლის ცნება და განვითარების ისტორია..... 23

3.2. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება და მისი მიზანი..... 25

3.3. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება..... 26

3.3.1. სარჩელის უზრუნელყოფის ღონისძიება..... 33

4. კრედიტორის უფლებები და ინტერესები..... 36

4.1. კრედიტორის უფლება მოვალეობები..... 36

4.2. კრედიტორის ინტერესების დაცვის მექანიზმები ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში..... 39

4.2.1. ნოტარიუსისთვის მიმართვა..... 39

4.2.2. სარჩელის წარდგენა სასამართლოში. 40
4.2.3. გამარტივებული წარმოება 42
5. მოვალის უფლებები და ინტერესები. 45
5.1. მოვალის უფლება მოვალეობები. 45
5.2. მოვალის ინტერესების დაცვის მექანიზმები ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში. 47
5.2.1. სანოტარო წარმოება. 48
5.2.2. სასარჩელო წარმოება. 48
5.2.3. გამარტივებული წარმოება. 53
6. სტატისტიკა. 55
6.1. სტატისტიკური მონაცემები. 55
6.2. სტატისტიკური ინფორმაციის შეფასება 60
დასკვნა 62
ბიბლიოგრაფია 65

შესავალი

სამოქალაქო სამართალი დაფუძნებულია მხარეთა თანასწორობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ სამოქალაქო ურთიერთობაში არც ერთ მხარეს არ შეიძლება მიენიჭოს არათანაზომიერი უპირატესობა.

სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულება წარმოიშობა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულება წარმოშობილია დელიქტით. ამასთან მხარეები თავისუფალნი არიან გარიგების დადებისას, ანუ მათ შეუძლიათ დადონ ნებისმიერი სახის გარიგება, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ფენომენი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამოქალაქო მართლწესრიგის ფორმირებაში, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც დღევანდელი კანონმდებლობით ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა ხდება ყოველგვარი ვალდებულების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვის გარეშე, ანუ შეიძლება ითქვას, რომ სააღსრულებლო ფურცლის გაცემა ხორციელდება მხოლოდ კრედიტორის განცხადებისა და ამის თაობაზე სახელშეკრულებო ურთიერთობის მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

იმდაგვარი მოწესრიგება, როგორიც დღევანდელი მოცემულობით გვაქვს საქართველოს კანონმდებლობაში, სააღსრულებო ფურცლის გაცემის მომენტში, მოვალეს ფაქტობრივად დაცვის მექანიზმის გარეშე ტოვებს, ხოლო მისი მოცულობა და შინაარსი დამოკიდებულია კრედიტორის კეთილსინდისიერებაზე. თავის მხრივ მოვალეს მხოლოდ სააღსრულებო ფურცლის გაცემის შემდეგ ეძლევა საშუალება იდაოს სააღსრულებო ფურცლის არათანაბარზომიერებაზე.

საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს მის მოქმედებას და კრედიტორს არ ერთმევა საშუალება გააგრძელოს სააღსრულებო საქმის წარმოება. (გამონაკლისა შემთხვევები, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას).

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა, როგორიცაა: თუ როგორ ხორციელდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის პრაქტიკული გამოყენება; რა შემთხვევაშია ნოტარიუსი უფლებამოსილი გასცეს სააღსრულებო ფურცელი; რა გავლენას ახდენს იგი კრედიტორისა და მოვალის ურთიერთდამოკიდებულებაში, ხომ არ აყენებს ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის თანამედროვე მოწესრიგება არათანაბარ ვითარებაში მხარეებს და ხომ არ ზღუდავს არათანაბარზომიერად მოვალის უფლებებს; რამდენად სწორია, რომ სააღსრულებო ფურცლის გაცემა წარმოადგენდეს ნოტარიუსის ფუნქციას; სააღსრულებო ფურცლის გაცემის მომენტში, არსებობს თუ არა რეალური და რაც მთავარია ეფექტური შესაძლებლობა, მოვალე დაცული იქნეს არაკეთილსინდისიერი კრედიტორისგან და ბოლოს მიღწეულია თუ არა ის მიზანი, რომელის მისაღწევადაც ნოტარიუსს მიენიჭა სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილება.

1. ნოტარიუსის მონაწილეობა გარიგებებში

1.1. სანოტარო მოქმედებების ფარგლები.

საქართველოს კანონმდებლობით, გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა მხარეებმა დაიცვან ამ გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილი ფორმა, ხოლო თუ ამ გარიგების დადებისათვის ფორმა არაა განსაზღვრული, მხარეები უფლებამოსილნი არიან თავად შეთანხმდნენ მასზე[1], გარიგება შესაძლოა დაიდოს წერილობითი, ან/და ზეპირი ფორმით.[2]

სამოქალაქო კანონმდებლობა განსაზღვრავს ცალკეულ ხელშეკრულებებსა და გარიგების ტიპებს, რომელთა დადებისათვის აუცილებელია დაცული იყოს გარიგების წერილობითი ფორმა და მასთან ერთად განსაზღვრავს ცალკეულ გარიგების ტიპებს, რომელთა ნამდვილობის დადასტურება აუცილებლად მოითხოვს ამ ხელშეკრულებაზე ხელმწოწერების ნოტარიული წესით დადასტურებას[3].

ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა ფარგლებიო განსაზღვრულია „ნოტარიატის შესახებ“[4] საქართველოს კანონით, რომლის 38-ე მუხლიც კონკრეტულად აწესებს იმ მოქმედებებს, რომლის განხორციელების უფლებაც ნოტარიუსს გააჩნია, კერძოდ ნოტარიუსი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს: „ა) კანონით დადგენილ შემთხვევაში ან მხარეთა შეთანხმებით ადასტურებს გარიგებებს; ბ) გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას; გ) გასცემს მემკვიდრეობის უფლების მოწმობას; დ) გასცემს მეუღლეთა სერთო ქონებაზე

[1] ს.ს.კ-ის 68-ე მხული
[2] ს.ს.კ-ის 69-ე მუხლის პირველი პუნტი.
[3] ს.ს.კ-ის 69-ე მხულის მე-5 პუნქტი.
[4] https://matsne.gov.ge/ka/document/download/90928/21/ge/pdf

წილზე საკუთრების უფლებას; ე) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად; ვ) ამოწმებს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორეს; ზ) ამოწმებს დოკუმენტის ხელმოწერის ნამდვილობას; თ) ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის სისწორეს; ი) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს; კ) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს; ლ) ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან; მ) ადასტურებს დოკუმენტის წრდგენის დროს; ნ) გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს; ო) დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებსა და ფასეულობებს; პ) გასცემს სააღსრულებო ფურცელს; ჟ) ასრულებს თამასუქის პროექტს; რ) გასანაღდებლად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნაღდებლობას; ს) შესანახად იღებს დოკუმენტებს; ტ) ასრულებს საზღვაო პროტესტს.“ [5]

2012 წლის 16 მარტის კანონით, „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე“[6] ნოატარიუსის უფლებამოსილებები გაფართოვდა და „ნოტარიუსის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა 4^1 და მე-5 მუხლები რომელთა თანახმადაც: „ნოტარიუსს აქვს ნივთის საჯაროდ შეთავაზების უფლება. ნივთის საჯაროდ შეთავაზება ხდება ელექტრონული აუქციონის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. საჯარო შეთავაზების ფორმებს, აგრეთვე საჯარო შეთავაზებისათვის გამოყენებულ ელექტრონულ საშუალებებს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი. ნივთის საჯაროდ შეთავაზების უფლებიდან გამომდინარე, ნოტარიუსი ასევე უფლებამოსილია კონსულტაცია გაუწიოს დაინტერესებულ მხარეს.“[7] ასევე: „ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის, ქონებაზე უფლების გადაცემის,

[5] „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის პირველი პუნქტი.
[6] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1618518?publication=0
[7] 2012 წლის 16 მარტის კანონი, „საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე;

აგრეთვე დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ამაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები.“

ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი რეგულირდება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის # 71 ბრძანებით, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ, ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“[8]

საქართველოს კანონმდებლობით მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ნოტარიუსის მონაწილეობის ფარგლები გარიგების დადებისას, ნოტარიუსისათვის მიმართვა და გარიგების ამ ფორმით დადასტურება ყოველთვის არ წარმოადგენს სავალდებულოს, იგი ძირითადად მხარეთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუმცა ასევე განსაზღვრულია გარიგებები, რომელთა ნოტარიულად დამოწმების ფორმა სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში საფრთხე ექმნება ამ გარიგების ნამდვილობას.

1.2. ნოტარიუსი და მისი ვალდებულებანი მხარეთა მიმართ.

1.2.1. ნოტარიუსი

„ნოტარიუსს თანამდებობაზე ნიშნავს იუსტიციის მინისტრი, რომელიც, ასევე, განსაზღვრავს საქართველოში ნოტარიუსთა თანამდებობის რაოდენობას. იუსტიციის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, 2021 წლისათვის საქართველოში ნოტარიუსთა მაქსიმალური რაოდენობა 280-ით განისაზღვრა.

[8] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1010061?publication=0

საქართველოში ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას. 1996 წლიდან „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, განისაზღვრა ნოტარიუსის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სამართლებრივი სტატუსი.

ნოტარიუსი არის თავისი კლიენტის მიუკერძოებელი და სანდო მრჩეველი. ნოტარიუსის მიერ დამოწმებულ დოკუმენტს აქვს უდავო მტკიცებულებითი ძალა.“[9]

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ, ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის # 71 ბრძანებით განსაზღვრული ინსტრუქციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „ნოტარიუსი არის პირი, რომელიც დანიშნულია ამ თანამდებობაზე „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამსიად და ამავე კანონითა და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას“, ხოლო ამავე მულხლის მე-2 პუნქტის თანახმად „ნოტარიუსი თავის ფუნქციებს აღასრულებს თავისუფალი პროფესიის ფარგლებში. ნოტარიუსი არ არის საჯარო მოხელე“,

ნოტარიუსის პროფესიული საქმიანობის თავისუფლება გარანტირებულია საქართველოს კანონით, „ნოტარიატის შესახებ“, რომლის მე-3 მუხლიც განსაზღვრავს: „ნოტარიუსი თავის პროფესიულ საქმიანობაში თავისუფალია და სანოტარო და სხვა, მასთან დაკავშირებულ მოქმედებათა მეშვეობით ახორციელებს სახელმწიფოებრივ უფლებამოსილებას ამ კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე“[10]

---

[9] ციტატა ვებგვერდიდან: https://www.notary.ge/index.php?id=17&lang=geo (მე-11; მე12; მე13 აბაზცი)
[10] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ მუხლი 3; პირველი პუნქტი.

1.2.2. ნოტარიუსის ვალდებულებები

„სანოტარო მოქმედების შესრულებისას ნოტარიუსი ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი და: ა) შეასრულოს თავისი პროფესიული ვალდებულებები საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად; ბ) დაიცვას ნოტარიუსის პროფესიული ეთიკის წესები; გ) სანოტარო მოქმედების შესრულებისას დაადგინოს სანოტარო მოქმედების მონაწილე ფიზიკური და იურიდიული პირის ან მათი წარმომადგენლის ვინაობა, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა, ნების თავისუფალი გამოვლენის ნამდვილობა, სანოტარო მოქმედების მონაწილეს განუმარტოს მისი უფლებები და ვალდებულებები, გააფრთხილოს სანოტარო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ; დ) მუდმივად იზრუნოს თავისი პროფესიული მომზადების ხარისხის ასამაღლებლად; ე) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება; ვ) არ შეასრულოს სანოტარო მოქმედება, თუ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მორალს და/ან საჯარო წესრიგს; ზ) დროულად გადაიხადოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო გადასახდელები ნოტარიუსთა პალატაში. 2. ნოტარიუსს ეკრძალება: ა) შუამავლობა თავის კლიენტებს შორის გარიგების დადებისას და/ან გარანტიის მიცემა ერთ-ერთი მხარისათვის; ბ) საკუთარი სანოტარო საქმიანობისა და პროფესიული თვისებების რეკლამირება. სანოტარო საქმიანობის რეკლამად არ მიიჩნევა ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით სანოტარო ბიუროს ფირნიშის განთავსება. 3. ნოტარიუსი ვალდებულია შეკითხვის მიღებიდან 10 სამუშაო დღისა ამომწურავი წერილობითი პასუხი გასცეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სასამართლოს, ნოტარიუსთა პალატის შეკითხვას და მიაწოდოს მათ აუცილებელი ინფორმაცია. [11], ამასთან ნოტარიუსს

[11] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის # 71 ბრძანებით, „ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ, ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლი

კანონმდებლობითვე აქვს დავალებული შეინახოს მისთვის მინდობილი პირადი ცხოვრების საიდუმლოება, რაც მისთვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობისას".[12]

ნოტარიუსს საქმიანობის განხორციელებისას ევალება იყოს მიუკერძოებელი, რაც იმას გულისხმოპბს, რომ იგი ვალდებულია თანაბრად აუხსნას ორივე მხარეს მათ შორის დადებული გარიგებების იურიდიული შედეგები, ორივე მხარეს განუმარტოს თუ რა შეიძლება მოჰყვეს დასამოწმებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას, მათ შორის მოვალეს მისცეს ზუსტი განმარტება და ინფორმაცია.

2. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

2.1. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის წინაპირობები.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა და მისი წინაპირობები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ნოტარიატის შესახებ“ კერძოდ დასახელებული კანონის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტით, რომლის თანახმადაც: - „ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის, ქონებაზე უფლების გადაცემის, აგრეთვე დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ამაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები“ [13]

ამრიგად ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს, რომ მხარეთა შორის არსებობდეს აღსარსულებლად მისაქცევი ხელშეკრულება, ფულადი თანხის გადახდევინებაზე (სესხი, ვალის

[12] იქვე - მუხლი 10
[13] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი

აღიარება და ა.შ); ქონებაზე უფლების გადაცემის და დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით რეალიზაციაზე, ამასთან დასახელებული ხელშეკრულება დამოწმებული უნდა იქნეს ნოტარიუსის მიერ.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის დამატებით შესაძლებლობას განსაზღვრავს „ნოტარიატის შესახებ“, საქართველოს კანონის 38[1] -ე მუხლი, რომლის თანახმადაც: „მხარის მიერ სანოტარო მედიაციის ფარგლებში შემდგარი მორიგების აქტით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში იძულებითი აღსრულება ხორციელდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“

დასახელებული მსჯელობიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნოტარიუსის მიერ საღსრულებო ფურცელი გაიცემის შესაძლებლობა კანონმდებლობით განსაზღვრულია ორ შემთხვევაში, პირველი როდესაც არსებობს აღსასრულებლად მისაქცევი, ნოტარიულად დამოწმებული, ხელშეკრულება, ვალდებულების შესრულების თაობაზე და მეორე, სანოტარო მედიაციის ფარგლებში, მხარეთა შორის შემდგარი მორიგების აქტის აღსასრულებლად.

საგულისხმოა ასევე ის გარემოება, რომ ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუკი ამის შესხებ მხარეები წინასწარ არიან შეთანხმებულები, ანუ ნოტარიულად დამოწმებულ ხელშეკრულებაში უნდა არსებობდეს მხარეთა თანხმობა, ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხევაში სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

სააღსრულებო ფურცლის გაცემაზე პირველ რიგში უფლებამოსილია ის ნოტარიუსი, რომელმაც დაადასტურა აღსასრულებლად მისაქცევი ხელშეკრულება ან ამ ნოტარიუსის შემცვლელი, ხოლო ასეთი ნოტარიუსების არ

არსებობის, ან/და უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში სხვა მოქმედი ნოტარიუსი.[14]

სააღსრულებო წარმოების დაწყება შესაძლებელია მხოლოდ დედანი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, მისი დაკარგვის შემთხვევაში სააღსრულებო წარმოება შესაძლოა დაიწყოს დუბლიკატი სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. დუბლიკატის გაცემის უფლება აქვს იმ ნოტარიუსს (ან მის შემცვლელს) რომელმაც გასცა თავდაპირველი სააღსრულებო ფურცელი, ხოლო თუ ასეთი ნოტარიუსები აღარ არსებობენ ან შეუწყდათ უფლებამოსილება, სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატს გასცემს ნებისმიერი სხვა მოქმედი ნოტარიუსი[15]

2.1.1. **კრედიტორის განცხადება.**

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემას წინ უძღვის კრედიტორის განცხადება შესაბამისი მოთხოვნით, რაც ასევე მოწესრიგებულია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლით, რომელიც განსაზღვრავს კრედიტორის ვალდებულებებს განცხადების წარდგენისას, კერძოდ დასახელებული ნორმის თანახმად: - „ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს კრედიტორის (მისი უფლებამონაცვლის) წერილობითი განცხადების საფუძველზე. განცხადებას უნდა დაერთოს სანოტარო დოკუმენტი, რომლის საფუძველზედაც განმცხადებელი ითხოვს სააღსრულებო ფურცლის გაცემას. კრედიტორის (მისი უფლებამონაცვლის) განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ უნდა შეიცავდეს: ა) ნოტარიუსის ვინაობას, რომელსაც ის მიმართავს განცხადებით; ბ) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების ვინაობას/სახელწოდებებს; გ) მონაცემებს შეუსრულებელი ძირითადი და

[14] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ 40-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.
[15] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ მე-40 მუხლის მე-4 პუნქტი.

დამატებითი ვალდებულებების მოცულობის შესახებ; დ) მითითებას იმის შესახებ, რომ შეუსრულებელი მოთხოვნა, რომლის აღსასრულებლადაც უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მიერ რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მან ასეთი ვალდებულება უკვე შეასრულა; ე) განმცხადებლის ხელმოწერას."[16]

დასახელებული ნორმის ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კრედიტორს სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნისას, კანონმდებლის მიერ არააქვს დაკისრებული არანაირი მტკიცების ვალდებულება, გარდა საპასუხო მოქმედების შესრულებისა, ანუ თუკი გარიგებით არაა გათვალისწინებული კრედიტორის მიერ რაიმე მოქმედების შესრულება, სხვა მტკიცებულების წარდგენა ნოტარიუსისათვის, კრედიტორს არ ეკისრება, საგულისხმოა რომ კრედიტორს არც ვალდებულების ოდენობის დადასტურება ევალება, დასახელებული ნორმის თანახმად კრედიტორს ეკისრება მხოლოდ ვალდებულების ოდენობის მითითების ვალდებულება.

2.2. ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ფარგლები.

როგორც წინა თავში ავღნიშნეთ, კრედიტორის მიერ სააღსრულებო ფურცლის მოთხოვნის თაობაზე, ნოტარიუსთან განცხადების წარდგენისას, მას არ ეკისრება ვალდებულების ოდენობის დადასტურების ვალდებულება, თავისმხრივ კანონმდებლის მიერ არც ნოტარიუსს დაეკისრა ვალდებულების რაიმე ფორმით შემოწმებიოს ვალდებულება, გარდა მისი ფორმალური მხარისა.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესი დგინდება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციით"[17] , უფრო

[16] იქვე - 40-ე მუხლის პირველი პუნქტი - ციტატა.
[17] „ნოტარიატის შესახებ" საქაერთველოს კანონის 40-ე მუხლის მე-6 პუნქტი

კონკრეტულად იგი განსაზღვრულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის # 71 ბრძანების, („ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ, ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“) 72-ე მუხლით, რომლის თანახმადც:

„ნოტარიუსი გასცემს სააღსრულებო ფურცელს იმ სანოტარო აქტის აღსასრულებლად, რომლის საფუძველზე დადგენილი ვალდებულების აღსრულება კანონმდებლობის შესაბამისად დაიშვება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ არის გასული ვალდებულების შესრულების ხანდაზმულობის კანონით დადგენილი ვადა.

2. სააღსრულებო ფურცელი გაიცემა კრედიტორის (მისი უფლებამონაცვლის) წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით დადგენილ რეკვიზიტებს.

3. სააღსრულებო ფურცელს პირველ რიგში გასცემს ის ნოტარიუსი (მისი არყოფნისას – შემცვლელი, თუ ასეთი დანიშნულია), რომელმაც დაამოწმა აღსრულებას დაქვემდებარებული სანოტარო აქტი.

4. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული პირი (ნოტარიუსის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში), სააღსრულებო ფურცელს კრედიტორის არჩევით გასცემს ნებისმიერი სხვა ნოტარიუსი, რომელიც საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან გამოითხოვს აღსასრულებელი სანოტარო აქტის დამოწმებულ ასლს და მონაცემებს მისი გაუქმების (ცვლილების) შესახებ, აგრეთვე ინფორმაციას სანოტარო მოქმედების შესრულების ხელის შემშლელი გარემოებების შესახებ (მაგ., მოცემული სანოტარო აქტის მიხედვით, უკვე გაცემულია სააღსრულებო ფურცელი სხვა ნოტარიუსის მიერ), მისი არსებობის შემთხვევაში.

5. უფლებამოსილ პირებზე სააღსრულებო ფურცელი გაიცემა შემდეგი რაოდენობით:

ა) თუ კრედიტორი რამდენიმეა და მათ აქვთ სხვადასხვა მოთხოვნა, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, მაშინ გაიცემა იმდენი სააღსრულებო ფურცელი, რამდენი კრედიტორიცაა;

ბ) თუ მოვალე რამდენიმეა და ისინი არ არიან სოლიდარული მოვალეები, მაშინ გაიცემა იმდენი სააღსრულებო ფურცელი, რამდენი მოვალეცაა;

გ) თუ რამდენიმე კრედიტორი სოლიდარული კრედიტორია, ან რამდენიმე მოვალე სოლიდარული მოვალეა, გაიცემა იმდენი სააღსრულებო ფურცელი, რამდენი სოლიდარულად პასუხისმგებელი მხარეცაა;

დ) თუ არსებობს სხვადასხვა პერიოდში შესასრულებელი ვალდებულებები, სააღსრულებო ფურცელი გაიცემა მხოლოდ ვადადამდგარი ვალდებულების აღსასრულებლად. თუ არსებობს ვადადაუმდგარი მოთხოვნის ვადამდელი დაკმაყოფილების საფუძველი, მითითებული სანოტარო აქტში, შეიძლება გაიცეს სააღსრულებო ფურცელი ვადადაუმდგარი მოთხოვნის მიმართაც.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში:

ა) თითოეული უფლებამოსილი პირისათვის მიცემული საღსრულებო ფურცელი დგება ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში;

ბ) თითოეული უფლებამოსილი პირისათვის მიცემულ სააღსრულებო ფურცელს ეძლევა დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომერი და დამოუკიდებელი აქტის სახით რეგისტრირდება რეესტრში.

7. აღსრულება დაიშვება ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის დედნის საფუძველზე. სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის ან დაზიანების (თუ დაზიანების ხარისხი გამორიცხავს სააღსრულებო ფურცლის გამოყენებას) შემთხვევაში, სააღსრულებო ფურცლის დამოწმებულ ასლს (დუბლიკატს) გასცემს სააღსრულებო ფურცლის გამცემი ნოტარიუსი, ხოლო ამ უკანასკნელის უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში – სააღსრულებლო ფურცლის ასლი გაიცემა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით

დადგენილი წესით. სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი გაიცემა კრედიტორის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადების საფუძველზე და მას ენიჭება დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომერი. კრედიტორმა განცხადებაში უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც ითხოვს სააღსრულებო ფურცლის მეორე ეგზემპლარის გაცემას. კრედიტორს ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი პასუხის-მგებლობა მოტყუებით სააღსრულებო ფურცლის მეორე ეგზემპლარის მიღების გამო. განმეორებით გაცე-მულ სააღსრულებო ფურცელში აღინიშნება, რომ იგი გაიცა განმეორებით უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე. კრედიტორი ვალდებულია, დაზიანებული სააღსრულებო ფურცელი დაუბრუნოს უფლებამოსილ ნოტარიუსს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზიანებული სააღსრულებო ფურცელი ინახება აღმასრულებელთან. ამ შემთხვევაში. სააღსრულებო ფურცლის მეორე ეგზემპლარი გაიცემა კრედიტორის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებისა და სასამართლოს აღმასრულებლის ოფიციალური წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

8. სააღსრულებო ფურცელი სანოტარო აქტის აკინძვის წესების დაცვით უნდა აიკინძოს იმ სანოტარო აქტის დამოწმებულ ასლთან ერთად, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას. სააღსრულებო ფურცლის გაცემის შესახებ შესაბამისი აღნიშვნა უნდა გაკეთდეს სანოტარო ბიუროში დაცული სანოტარო აქტის იმ ეგზემპლარზე, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

9. სააღსრულებო ფურცელი უნდა შეიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სავალდებულო რეკვიზიტებს.“[18]

ამრიგად სააღსრულებო ფურცლის გაცემისას ნოტარიუსს ეკისრება ვალდებულება შეამოწმოს ა) ვალდებულების დამადასტურებელი

[18] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის # 71 ბრძანებით, „ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ, ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ - მუხლი 72

ხელშეკლრულების არსებობა და ბ) მოთხოვნის ვადა, ხანდაზმულობასა და ვადამოსულობასთან მიმართებით, სხვა მხრივ მოთხოვნის ოდენობის შემოწმების რაიმე მექანიზმი ნოტარიუსს არ გააჩნია.

3. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი.

3.1. სააღსრულებო ფურცლის ცნება და განვითარების ისტორია.

„სააღსრულებო ფურცლის წარმოშობა და მისი შემდგომი განვითარება შუა საუკუნეებისა და საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ პერიოდს უკავშირდება.[2] აღსრულებას დაქვემდებარებული აქტი, განვითარების თვალსაზრისით, შესაძლებელია განხილული იქნეს სამი სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ სამივე მათგანი განიცდის ევროპული კულტურის გარკვეულ გავლენას.[3] აღსრულებას ქვემდებარე სანოტარო აქტი წარმოადგენს პირვანდელ სახეს იმ მართლწესრიგისა, რამაც შექმნა გარდამავალი ეტაპი „თვითდახმარებიდან სასამარ - თლომდე˜.[4] „სააღსრულებო დოკუმენტი[5] შუა საუკუნებში წარმოიშვა იტალიაში და შემდგომ კოდიფიცირებული იქნა სხვადასხვა ქვეყნების მიერ.[6] მისი

წარმოშობა გარკვეულწილად, იტალიელი ვაჭრების სახელთანაცაა დაკავშირებული, რადგან თავდაპირველად სააღსრულებო ფურცლის არსებობის საჭიროებას მოითხოვდა სავაჭრო ურთიერთობები, როდესაც აღსრულება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე იყო შესაძლებელი, რაც ხანგრძლივ პროცესებთან იყო დაკავშირებული.[7] შემდგომ რომის სამართალმა, გარკვეულწილად, მოაწესრიგა აღნიშნული ურთიერთობები, მაგრამ გადახდის ბრძანების გამოცემა მხოლოდ მოსამართლეს შეეძლო. თანდათან ნოტარიუსის ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი ფუნქციები შეიძინა და სააღსრულებო ფურცელმა შემდგომი განვითარება მე-19 საუკუნეში, 1804 წლის „საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში“[8] ჰპოვა.[9] განვითარების ბოლო ეტაპს კი ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელმა მიაღწია მაშინ, როდესაც იგი „მულტილატერულ კონვენციებში“ [10] მოხვდა და ამ გზით ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა, როგორც გაცილებით მარტივი სისტემა, ვიდრე სასამართლოს გადაწყვეტილებებია, საერთაშორისო დონეზე იქნა უზრუნველყოფილი.“[19]

„გერმანულ სამართალში იძულებით აღსასრულებელი გადახდის მოთხოვნა, ძირითადად, მაშინ ითვლება სათანადოდ განსაზღვრულად, როდესაც მოთხოვნის ფასი ან პირდაპირ ხელ- შეკრულებითაა განსაზღვრული ან სხვა დოკუმენტის საფუძველზე შესაძლებელია მისი გამოთვლა. იმ შემთხვევაში თუ აღსასრულებელი მოთხოვნის ფასი პირდაპირ არ არის განსაზღვრული სანოტარო აქტში და თუ აღსასრულებელი მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრა შესაძლებელია სანოტარო აქტის ფარგლებს გარეთ არსებული მატერიალურ სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ითვლება რომ მოთხოვნა განსაზღვრულია.“[20]

---

[19] ციტატა - იხ. სამართლის ჟურნალი; #2 2015 (თსუ იურიდიული ფაკულტეტი) გვ.55
[20] ციტატა - იხ. სამართლის ჟურნალი; #2 2015 (თსუ იურიდიული ფაკულტეტი) გვ.62

3.2. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულება და მისი მიზანი.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების წესს, უფრო კონკრეტულად დასახელებული მოწესრიგებულია „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 მუხლით, რომლის თანახმადაც: „ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააღსრულებო ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, არ აჩერებს აღსრულებას.“[21]

„როგორც წესი, ვალდებულების შესრულება, უპირატესად, ნებაყოფლობით ხორციელდება, მაგრამ ასეთი ნების არარსებობისას, ვალდებულების იძულებითი შესრულება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილია სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხშირ შემთხვევაში, კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება მოვალის მიმართ ხორციელდება იძულებითი აღსრულების მეშვეობით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ან გადაწყვეტილების დაუყოვნებლივი აღსრულების გზით. გსსკ-ის 794-ე პარაგრაფით გარდა სასამართლოს აქტისა, გათვალისწინებულია სხვა აქტები, რომელთა საფუძველზედაც შესაძლებელია იძულებითი აღსრულების განხორციელება. ამ კუთხით გერმანულ სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნოტარიუსს, რომელიც, როგორც „საჯარო უფლებამოსილების დამოუკიდებელი მატარებელი“, მსგავსად სასამართლოსი, გასცემს სააღსრულებო ფურცელს.

[21] საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ 40-ე მუხლის მე-5 პუნქტი

ქართულ სამართალში ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა ხორციელდება სასამართლოს მიერ ფუნქციის დელეგირების საფუძველზე.“[22]

„სასამართლოს მიერ ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის ფუნქციის დელეგირების საფუძველი, გარდა სასამართლოში დავების შემცირებისა, გამარტივებული პროცედურის გზით კრედიტორის მოთხოვნის სწრაფად დაკმაყოფილების უზრუნველყოფაა.“.[23]

„„ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის გზით ხდება, მოვალის მიმართ კრედიტორის არსებული მოთხოვნის აღსრულება. ქართულ სამართალში აღსრულება ხორციელდება აღსრულების პროცესში მოვალის მონაწილეობის გარეშე, მაშასადამე, მისი ნებისაგან დამოუკიდებლად. მოვალის ნება იძულებითი აღსრულების დროს მთლიანად გამორიცხულია. მოვალის ნების გამოვლენა ხდება ხელშეკრულების გზით, რომ აღსრულება მოხდება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.35 იურიდიულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სანოტარო დოკუმენტი მხარეთა შორის დავის წარმოშობის თავიდან აცილებას ემსახურება.36 სახელმწიფოს მიერ ცალკეულ შემთხვევებში გარიგების ნამდვილობისათვის სანოტარო წესით დამოწმება დადგენილია სამართლის სუბიექტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.[24]“

3.3. ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის თანახმად: „ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააღსრულებო

[22] ციტატა - იხ. სამართლის ჟურნალი; #2 2015 (თსუ იურიდიული ფაკულტეტი) გვ. 59
[23] იქვე - გც. 59
[24] სამართლის ჟურნალი; #2 2015 (თსუ იურიდიული ფაკულტეტი)

ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, არ აჩერებს აღსრულებას“[25]

ამრიგად, თუკი ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში იარსებებს შეცდომა, ან მისი მოცულობის ოდენობა იქნება შეუსაბამოდ მაღალი, რისი ალბათობაც მაღალია, (ნოტარიუსის მიერ არ გამოითხოვება ვალდებულების ოდენობის დამადსტურებელი დოკუმენტი) მხარეს რასაკვირველია აქვს უფლება გაასაჩივროს ამგვარი სანოტარო აქტი, თუმცა ეს მოქმედება ვერ შეაყოვნებს აღსრულებას.

იმგვარ პირობებში, როდესაც გასაჩივრებული აქტის მოქმედება არ ჩერდება და სააღსრულებო წარმოება კვლავ მიმდინარეობს, ბუნებრივია სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე (ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანის ან მის გაუქმებამდე) შესაძლოა გასაჩივრებული აქტი აღსრულებულიც კი აღმოჩნდეს, რაც თავისმხრივ აზრს უკარგავს მხარის მიერ აქტის გასაჩივრებას, რასაკვირველია კანონი იცნობს უსაფუძვლოდ მიღებული სიკეთის უკან დაბრუნებას, თუმცაღა დასახელებული ცალსახად ზღუდავს მოვალის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, მითუფრო იმგვარ ვითარებაში, თუკი სააღსრულებო წარმოება დაწყებულია იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის მოთხოვნით, ან/და თანხის ამოღების მიზნით სარეალიზაციოდ მიექცევა მოვალის ქონება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სააღსრულებო წარმოების შეჩერება უმნიშვნელოვანესი საკითხია, მოვალის ინტერესების დასაცავად.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი ადგენს სააღსრულებო წარმოების შეჩერების საფუძვლებს, დასახელებული ნორმის თანახმად: „1. სასამართლო უფლებამოსილია შეაჩეროს აღსრულება: ა)

[25] „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 40-ე მულის მე-5 პუნქტი

მოვალე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას – მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობით დაიშვება უფლებამონაცვლეობა; მოვალის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხის სასამართლოს მიერ განხილვისას – საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე; გ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე საჩივრის შეტანისას – გადაწყვეტილების მიღებამდე; დ) იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სარჩელის წარდგენისას, რომელზედაც მიქცეულია გადახდა, – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე; ე) (ამოღებულია - 11.12.2015, №4628); ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. 2. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია აღსრულება შეაჩეროს: ა) კრედიტორის მოთხოვნით, ერთჯერადად, არა უმეტეს 3 თვის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ სააღსრულებო ფურცელი უბრუნდება კრედიტორს, თუ იგი არ მოითხოვს აღსრულების გაგრძელებას; ბ) აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ აღსასრულებელი გადაწყვეტილების განმარტების მოთხოვნით სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადით; გ) კრედიტორის ან მოვალის გარდაცვალებისას – სასამართლოს მიერ უფლებამონაცვლის დადგენამდე და მოვალის ქონების უფლებამონაცვლის საკუთრებაში გადასვლამდე; დ) ამ კანონის 184 მუხლით გათვალისწინებული მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების განწილვადებისას – საქმის წარმოების განახლებამდე; ე) ამ კანონის 183 მუხლით დადგენილი წესით სააღსრულებო წარმოების მხარის საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით; ვ) ამ კანონის 25-ე მუხლის მე-4 და 4 1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში კრედიტორისათვის საფასურის გადახდის ვადის განსაზღვრისას – ამ ვადის

ამოწურვამდე; ზ) განსაკუთრებულ შემთხვევაში – აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით. (ძალადაკარგულია „ზ" ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესაძლებლობას სასამართლო კოტროლის გარეშე) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება №1/2/596 - ვებგვერდი, 12.10.2016წ. 3. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოვალის ქონებაზე ყადაღის დადებამდე ან ყადაღის დადების შემდეგ, თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად ამავე ქონებას სასამართლომ ყადაღა დაადო სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად, აღსრულების ეროვნული ბიურო ამ ქონებაზე აღსრულებას აჩერებს პროკურორის წერილობითი თანხმობის მიღებამდე. 4. საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვის საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიურო დაუყოვნებლივ აჩერებს აღსრულებას „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზოლუციის რეჟიმში მყოფი კომერციული ბანკის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრული ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 90 კალენდარულ დღეს. თუ რეზოლუციის რეჟიმი საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართვაში განსაზღვრულ ვადაზე ადრე დასრულდება, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს, რომელიც უფლებამოსილია განაახლოს წარმოება.“[26]

დასახელებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ მოვალეს სააღსრულებო წარმოების შეჩერების ერთადერთ მექანიზმად (გარდა თაქვად

[26] „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი

კრედიტორის სურვილისა) გააჩნია სასამართლოს გადაწყვეტილება, ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გასაჩივრებული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებულს სააღსრულებო წარმოებაში არაა საჯაროდ გამოცხადებული აუქციონის დანიშვნის თარიღი, რამეთუ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის თანახმად: „იძულებითი აუქციონის საჯაროდ გამოცხადების დღიდან დაუშვებელია აუქციონის (სააღსრულებო წარმოების) შეწყვეტა, შეჩერება, გადადება, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, ამ კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლით სააღსრულებო ფურცლის/აღსასრულებელი გადაწყვეტილების დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით პროკურორი აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარუდგენს დასაბუთებულ წერილობით მოთხოვნას ან განსაკუთრებული ვითარების გამო ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე.“ [27]

როგორც აღინიშნა, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შესაძლოა აზრი დაეკარგოს დავას, ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის მიმართ, (მოხდეს მისი აღსრულება) შესაბამისად საჭიროა მხარეს გააჩნდეს შესაძლებლობა დაიცვას საკუთარი კანონიერი უფლებები და არ დაუშვას გასაჩივრებული აქტის აღსრულება მის მიმართ სასამართლო კონტროლის განხორციელებამდე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად - „მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის

[27] „სააღსრულებიო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლი

გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას, გამოიწვევს გამოუსწორებელ და პირდაპირ ზიანს ან ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ეს განცხადება ასევე უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. რომელიმე ზემოაღნიშნული გარემოების არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სასამართლოს მსჯელობა სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზე გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე."[28]

ამასთან ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს: ა) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან; ბ) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; გ) მოპასუხის დავალდებულება, გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვა) სახით დ) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება; ე) ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება, გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა ; ვ) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, მუნიციპალიტეტის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება; ი) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება ისეთ საქმეებზე,

[28] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი პუნქტი

რომლებიც აღძრულია „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ან რომლებზედაც შეტანილია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. 3. სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე“[29]

მართალია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება თავისთავად არ აჩერებს მის მოქმედებას და მის საფუძველზე დაწყებულ სააღსრულებო წარმოებას, თუმცა კანონმდებლობით მხარეს აქვს ბერკეტი შეაჩეროს მის მიმართ დაწყებული სააღსრულებო წარმოება და არ დაუშვას იმ აქტის აღსრულება, რომლის მიმართაც მას პრეტენზია გააჩნია, დასახელებულის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს: „ნოტარიატის შესახებ” საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე აღსრულება ხორციელდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ'' საქართველოს კანონით დადგენილი წესით. ამასთანავე, სააღსრულებო ფურცლის ან/და იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრება, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, არ აჩერებს აღსრულებას. ამდენად, მითითებული ნორმის როგორც სიტყვა-სიტყვითი, ასევე ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად, ნათელია, რომ კანონი იმ სანოტარო დოკუმენტის გასაჩივრების შესაძლებლობას უშვებს, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული კი ნიშნავს იმას, რომ პირის უფლება, სასამართლო წესით იდავოს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლით დარღვეული უფლებისა, თუ ინტერესის აღსადგენად, იწვევს რეალური საპროცესოსამართლებრივი მექანიზმების ამუშავების საჭიროებას. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო, მოთხოვნის იურიდიული

[29] იქვე - 198-ე მუხლის მე-2 პუნქტი

მართებულობის პირობებში, არ შეაჩერებს სააღსრულებო ფურცლის მოქმედებას, მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება გაძნელდეს ან გადაწყვეტილება საერთოდ აღუსრულებელი დარჩეს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ განმცხადებლის უფლება ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედების შეჩერების თაობაზე, ლეგიტიმურია და შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესს, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებაც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. პალატა, მიიჩნევს, რომ თუ არ შეჩერდა ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მოქმედება, იმ სანოტარო აქტისა თუ მოქმედების ლეგიტიმურობაზე მსჯელობას, რომლის აღსასრულებლადაც გაიცა სააღსრულებო ფურცელი, აზრი ეკარგება. შესაბამისად, აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სწორედაც, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნებს ემსახურება."[30]

3.3.1. სარჩელის უზრუნელყოფის ღონისძიება.

როგორც ნაშრომის ზედა თავებში განვითარებული მსჯელობიდან ჩანს, მოვალისათვის საკუთარი უფლებების დაცვისა და სააღსრულებო წარმოების შეჩერების ერთადერთ საშუალებად სარჩელის უზრუნელყოფის ღონისძიების გამოყენება რჩება, შესაბამისად მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს ამ პროცესუალური ნორმის არსი.

სარჩელის უზრუნელყოფის ღონისძიების არსისა და მისი გამოყენებების წინაპირობათა შესახებ, თბილისის სააპელაციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში აღნიშნავს შემდეგს: „პალატა საქართველოს

[30] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება (საქმე # 2ბ/5878-14)

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის გამოყენების მიზნებისათვის განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გულისხმობსუფლების დროებით შეზღუდვას, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. თუმცა, უფლების დროებით შეზღუდვის დროსაც მნიშვნელოვანია გონიერი ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის. სწორედ, აღნიშნული ბალანსის დაცვას ემსახურება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი იმასთან დაკავშირებით, რომ თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.“[31],

„პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების რეალიზაცია) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. გარდა ამისა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას უზრუნველყოფის ღონისძიების, როგორც საპროცესოსამართლებრივი ინსტიტუტის მთავარი პრინციპი — აღსრულდეს სასამართლო გადაწყვეტილება. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა

[31] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება (საქმე #2ბ/5617-14)

არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება უნდა იყოს განპირობებული იმ ვარაუდით, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული გარემოებები იურიდიულად ქმნის სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას. უზრუნველყოფის ღონისძიებით უფლების დროებით შეზღუდვის დროს კი მნიშვნელოვანია გონივრული ბალანსის დაცვა დაცულ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის."[32]

[32] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება (საქმე # 2ბ/5878-14)

4. კრედიტორის უფლებები და ინტერესები.

4.1. კრედიტორის უფლება მოვალეობები.

წინამდებარე ნაშრომის შინაარსის გათვალისწინებით, რამდენადაც კვლევა მიმართულია ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიმართ, მიზანშეწონილია როგორც კრედიტორის, ასევე მოვალის უფლებები და ინტერესები განხილულ იქნეს სახელშეკრულებო ვალდებულებითი სამართლის ჭრილში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი წესი და კრედიტორისა და მოვალის უფლება ვალდებულებანი საერთოა, რამეთუ როგორც ზედა თავებში აღინიშნა ნოტარიუსი სააღსრულებო ფურცელს გასცემს მხოლოდ მხარეთა შორის, მანამდე დადებული, აღსასრულებლად მისაქცევი შეთანხმების არსებობის შემთხევაში და არანაირი კავშირი არ აქვს დელიქტურ ვალდებულებებთან.

ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა, ანუ კრედიტორისა და მოვალის ურთიერთქმედება მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლით, რომლის თანახმადაც: „1. ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც. 2. თავისი შინაარსისა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ ლისხმიერებას“[33]

„316-ე მუხლი დეფინიციური ხასიათისაა. ეს დანაწესი შეიცავს ვალდებულებითი ურთიერთობის რამდენიმე საკვანძო ცნებას, ესენია: ვალდებულება, მოთხოვნა, მოვალე, კრედიტორი. ამავე ნორმიდან ირკვევა, რომ ვალდებულება ორი ტიპის შეიძლება იყოს – ვალდებულება, რომ

[33] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლი

შეასრულო და ვალდებულება, რომ მოექცე მეორე მხარის ინტერესებს გულისხმიერად. ეს ორივე ელემენტი შეადგენს ვალდებულების შინაარს.

ვალდებულება უფრო ვიწრო კონცეფციაა, ვიდრე ვალდებულებითი ურთიერთობა. ვალდებულებითი ურთოერთობა ვალდებულებასთან და მის საპირწონე მოთხოვნასთან ერთად სხვა სამართლებრივ მექანიზმებსაც მოიაზრებს. სხვა სამართლებრივ მექანიზმებში იგულისხმება ის უფლებები, რომლებიც ვალდებულებითი ურთიერთობის ფარგლებში წარმოიშობა. ეს უფლებები, მოთხოვნებისგან განსხვავებით, მხარეების მიერ ცალმხრივად ხორციელდება და შესაბამის სამართლებრივ შედეგიც მეორე მხარის თანამონაწილეობის გარეშე დგება (მაგ. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, რომლის გამოყენებითაც სახელშეკრულებო ურთი ერთობა ავტომატურად გადადის უკუქცევის რეჟიმში, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა ეს მეორე მხარეს, იხ. 355, 352).1“[34]

„კრედიტორს უნდა გააჩნდეს ნამდვილი, ამოუწურავი და უპრეტენზიო მოთხოვნა მოვალის მიმართ, რათა მოახდინოს მოთხოვნის უფლების რეალიზება“

ამდენად დასახელებული გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ რომ კრედიტორს აქვს უფლება მიიღოს ის შესრულება, რომელიც მის მიმართ შესასრულებელი აქვს მოვალეს, ამასთან ეს შესრულება უნდა განხორციელდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დადქმულ დროსა და ადგილას.

ვალდებულების არაჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორს წარმოეშვება უფლება იძულებითი წესით მიიღოს ის შესრულება, რომლის მიღების ლეგიტიმური მოლოდინიც გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ

[34] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, ხელმისაწვდომია ვებ. ვერდზე: http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/ზოგადი-დებულებანი-ვალდებ/მუხლი-316/ (ავტორი გიორგი ვაშაკიძე)

კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ვალდებულება საერთოა როგორც მოვალის, ასევე კრედიტორის მიმართ.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს: „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სამართლის, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია.“[35]

„იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, კეთილსინდისიერების პრინციპს სამი ფუნქცია ეკისრება: 1) ყველა ხელშეკრულება უნდა განიმარტოს კეთილსინდისიერების პრინციპიდან ამომდინარე; 2) კეთილსინდისიერების პრინციპს აქვს ხარვეზის (სამართლის ნორმის ხარვეზის) შემავსებელი ფუნქცია, ასევე ხელშეკრულების პირობათა (რომლებიც მხარეთა მიერ ან/და კანონით არ იყო გათვალისწინებული) დამატების ფუნქცია; 3) გამაუქმებელი, შემზღუდავი და „მაკორექტირებელი“ ფუნქცია. კეთილსინდისიერების ზემოაღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარობს, რომ ნებისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში, კრედიტორს არ შეუძლია უარი თქვას მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების მცირე ხელშეწყობაზე, როდესაც მოვალეს კრედიტორის მხრიდან ესაჭიროება ასეთი ხელშეწყობა მასზე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულებისათვის.“[36]

ამრიგად სახელშეკრულებო ურთიერთობებში, კრედიტორი უფლებამოსილია მოითხოვოს ის შესრულება, რომელიც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, თუმცა ამავედროს იგი იბოჭება კეთილსინდისიერი დამოკიდებულების პრინციპით, მას ევალება განსაკუთრებული გულისხმიერებით

[35] საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილება საქმე # ას-1338-1376-2014

[36] იქვე

მოეკიდოს მოვალის უფლებებსა და ინტერესებს და ისე მიიღოს ის შესრულება, რომლის დაკმაყოფილების ლეგიტიმური საფუძველი გააჩნია.

4.2. კრედიტორის ინტერესების დაცვის მექანიზმები ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

როგორც წინა თავში აღინიშნა კრედიტორს გააჩნია ინტერესი მიიღის შესრულება, ამ შესრულების ნებაყოფლობით მიუღებლობის შემთხვევაში იგი უფლებამოსილება მოვალისაგან იძულებითი წესით მიიღოს შესრულება, თავად ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის ინსტიტუტის მიზანს, უპირატესად კრედიტორის ინტერესების დაცვა წარმოადგენს, დასახელებული მექანიზმით კრედიტორს ეძლევა საშუალება ვადამოსულ მოთხოვნაზე მიიღოს აღსასსრულებლად მისაქცევი აქტი (სააღსრულებო ფურცელი) და ამით სწრაფად და ეფექტურად დაიკმაყოფილოს მოთხოვნა.

რასაკვირველია ნოტარიუსი არ არის ის ერთადერთი პირი, რომლიც გასცემს სააღსრულებო ფურცელს, კრედიტორის ინტერესების შესაბამისად. ვადამოსული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად კრედიტორს გააჩნია რამოდენიმე ინსტრუმენტი, რათა მიიღოს სააღსრულებო ფურცელი და იძულებითი წესით დაიკმაყოფილოს მოთხოვნა, რომელთაც ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ.

4.2.1. ნოტარიუსისთვის მიმართვა.

ვალდებულების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, კრედიტორის ინტერესების დაცვის, ანუ იძულებითი მექანიზმებით თანხის ამოღების ერთ-ერთი შესაძლებლობა ნოტარიუსისთვის მიმართვაა.

ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს იმ ნოტარიუსს, რომელმაც დაადასტურა აღსასრულებლად მისაქცევი გარიგება, ამ ეტაპზე იგი ვალდებულია წარადგინოს ის ხელშეკრულება, რომლის დარღვევის გამოც მოთხოვნილია სააღსრულებო ფურცლის გაცემა.

წარდგენილი განცხადების შემდგომ ნოტარიუსი ამოწმებს მხოლოდ ხელშეკრულებას და მოთხოვნის ვადამოსულობას, მათ შორის ხანდაზმულობის ვადას, ანუ ხომ არ არის გასული მოთხოვნის იძულებითი წესით დაკმაყოფილებისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა.

კრედიტორს ეკისრება ვალდებულება მიუთითოს აღსარულებელი თანხა, რომლის სისწორეზეც პასუხისმგებლობა მასვე ეკისრება, ამასთან ნოტარიუსის მიერ არ ხდება არანაირი ვალდბულების დამადასტურებელი დოკუმენტის გამოთხოვა, ისევე როგორც არ მოწმდება სხვა შინაარსობრივი თუ ფორმალური საკითები.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა ხორციელდება მხოლოდ ცალმხრივად, კრედიტორის განცხადების საფუძველზე, მასში მოვალე ფაქტობრივად არ მონაწილეობს.

4.2.2. სარჩელის წარდგენა სასამართლოში.

„შესრულების მოთხოვნა ექვემდებარება სასამართლო წესით დაცვას. კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს შესაბამისი მოთხოვნის არსებობის აღიარების მოთხოვნით (აღიარებითი სარჩელი) ან მოითხოვოს

შესრულების მოთხოვნის რეალიზება იძულებითი აღსრულების წესით (მიკუთვნებითი სარჩელი).“[37]

ამრიგად კრედიტორი უფლებამოსილია შესრულება მოითხოვის სასამართლო წესით, ამ მიზნით მან სარჩელი უნდა აღძრას სასამართლოში და მოითხოვოს მოვალისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალდებულება, თანხის დაკისრება და ა.შ.

საგულისხმოა, რომ სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში, სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლების შესაქმნელად, კრედიტოს ეკისრება ვალდებულება ამტკიცოს როგორც ვალდებულების არსებობა, ისევე როგორც მისი ოდენობა, რაც გამომდინარეობს სსაქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი პუნტიდან, რომლის თანახმადც: „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“

სასამართლოში სარჩელის წარდგენა, მიმართულია სააღსრულებლო ფურცლის მიღებისკენ, ანუ მხარე სასამართლოს მიმართავს იმ მიზნით, რომ დავის დასრულების შემდგომ, მიიღოს სააღსრულებო ფურცელი და წარმოეშვას იძულებითი აღსრულების დაწყების საფუძველი, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება როგორც აპელაციას ისევე კასაციას, შესაბამისად სასურველი შედეგის დადგომამდე, (სააღსრულებო ფურცლის მიღებამდე) მხარე იძულებულია გაიაროს სასამართლო წარმოება სამი ინსტანციის მანძილზე.

მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს, რომ სასარჩელო წარმოების დაწყებისას, კრედიტორი (მოსარჩელე) ვალდებულია უზრუნელყოს მოვალის (მოპასუხის) მონაწილეობა დავის წარმოებაში, კერძოდ ჩააბაროს მას სარჩელი

[37] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები; მუხლი 316 ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/ზოგადი-დებულებანი-ვალდებ/მუხლი-316/

და თანდართული დოკუმენტაცია, სარჩელის წარმოებაში მიღებიდან ორი თვის ვადაში[38], ამასთან მოსარჩელესვე ეკისრება ვალდებულება სასამართლოს წარუდგინოს გზავნილის მოპასუხისთვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი, რისი შეუსრულებლობაც სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.[39]

იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ყველა ღონისძიებას მიმართავს სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისთვის ჩაბარებისთვის და მაინც ვერ უზრუნელყოფს მის მხარისთვის ჩაბარებას, იგი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოსთხოვოს სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისთვის ჩაბარება, საჯარო პუბლიკაციის გზით, რის შემდგომაც სასამართლოა ვალდებული უზრუნელყოს მოპასუხე მხარის სათანადო წესით საქმეში მონაწილეობისთვის მოწვევა, ანუ ჩააბაროს მას სარჩელი და თანდართული მასალები.

4.2.3. გამარტივებული წარმოება

კრედიტორისთვის ვადამოსული მოთხოვნის დაკმაყოფილების კიდევ ერთ საშუალებად კანონმდებლის მიერ განსაზღვრულია გამარტივებული საქმის წარმოება, აღსრულების ეროვნულ ბიუროში, დასაელებული განსაზღვრულია სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის XVI[1] თავით.

დასახელებული კანონის 91[4] -ე მუხლის თანახმად: „1. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება, რომელიც გამარტივებული წარმოების დაწყების საფუძველია, მიზნად უნდა ისახავდეს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების

[38] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
[39] იქვე - 275-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

გამოცემას. 2. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების (თუ საქმეში წარმომადგენელი მონაწილეობს) დასახელებას, პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს (ფაქტობრივ საცხოვრებელ ან/და საქმიანობის ადგილს), სხვა ცნობილ საკონტაქტო მონაცემებს; ბ) აპლიკანტის საბანკო რეკვიზიტებს; გ) აპლიკანტის მოთხოვნას; დ) დოკუმენტების ჩამონათვალს, რომელთა მეშვეობითაც აპლიკანტი ასაბუთებს თავის მოთხოვნას და რომლებიც ერთვის დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას; ე) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი გამარტივებული წარმოებისას გაწეული დამატებითი ხარჯის (რომელიც შედგება სააპლიკაციო და ყადაღის დადებისათვის გათვალისწინებული საფასურებისაგან) ანაზღაურებას; ვ) მითითებას იმის შესახებ, რომ დაყენებული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული აპლიკანტის მიერ რაიმე საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მან ასეთი ვალდებულება უკვე შეასრულა; ზ) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების აღსრულებას; თ) მითითებას იმის შესახებ, ითხოვს თუ არა აპლიკანტი მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის დადებას; ი) აპლიკანტის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას. 3. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს დედნის ან/და დამოწმებული ასლების სახით. 4. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებას უნდა ერთოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ განცხადება წარმომადგენელს შეაქვს. 5. დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების შეტანისას აპლიკანტი იხდის“[40]

ამრიგად, დაასხელებული ნორმებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრედიტორი უფლებამოსილია მიმართოს აღსრულების ეროვნულ ბიუროს

[40] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 91^4 მუხლი.

სააპლიკაციო განცხადებით და მოითხოვოს გამარტივებული წარმოების გზით მოვალისათვის თანხის გადახდევინება, რისთვისაც იგი ვალდებულია ბიუროს წარუდგინოს ვალდებულების დამადასტურებელი დედანი დოკუმენტაცია. (ხელშეკრულება, მიღება ჩაბარება და ა. შ.)

წარმოების ფარგლებში აღსრულების ბიურო ამოწმებს მოთხოვნადამყარებული დოკუმენტაციის ფორმალურ შესაბამისობას მოთხოვნასთან და მათ შორის დისბალანსის შემთხვევაში ადგენს ხარვეზს და განუსაზღვრავს კრედიტორს ვადას მის გამოსასწორებლად.[41]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამარტოვებულ წარმოებაში მოვალის ჩართვა, ანუ მისი პოზიციის გამოთხოვა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მოვალისაგან იძულებითი წესით თანხის ამოსაღებად, კერძოდ აღსრულების ეროვნული ბიურო მოვალეს შეტყობინებას უგზავნის საქართველოს სამოქალქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, ამასთან გამოირიცხება შეტყობინების მისთვის საჯარო პუბლიკაციის გზით ჩაბარებას.[42]

[41] იქვე - მუხლი 91^5

[42] სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის 91^7-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

5. მოვალის უფლებები და ინტერესები.

5.1. მოვალის უფლება მოვალეობები.

წინა თავში მსჯელობა განვითარდა კრედიტორის უფლება ვალდებულებების ჭრილში და იქვე აღინიშნა, რომ გარკვეულ პრინციპებთან მიმართებით ხდება უფლება ვალდებულებათა გადაკვეთა.

სანოტარო წესით გაფორმებულ ვალდებულებათა ხასიათის გათვალისწინებით, უმრავლეს შემთხვევაში მოვალე სუსტ მხარეს წარმოადგენს, ანუ მას აკისრია ვალდებულებები, მაგრამ არ გააჩნია მოთხოვნები. (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც მოთხოვნა დამოკიდებულია მეოე მხარის შესრულებაზე.)

მოვალისა და კრედიტორის ურთიერთვალდებულებები დეფინირებულია სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლით, რომელიც აწესრიგებს მხარეთა შორის ურთიერთპასუხისმგებლობის უზოგადეს პრინციპებს.

როგორც ავღნიშნეთ უფლებათა ნაწილში, მოვალის პოზიციები სუსტია, თუმცაღა მისი ინტერესების დაცვა სამართლებრივად გათვალისწინებულია, იგი თავად კრედიტორის ვალდებულებიდანაც გამომდინარეობს. კრედიტორს

გააჩნია გულისხმიერებისა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების ვალდებულება, შესაბამისად მოვალეს აქვს უფლება მიიღოს იგი, თუმცა ამგვარი უფლება ხასიათდება მისი მოთხოვნის შეუძლებლობით, ანუ მოვალეს არ შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება წინასწარ, მანამ სანამ იგი არ დაირღვევა.

მოვალეს გააჩნია ვალდებულება კრედიტორის მიმართ, რაც გამოიხატება ვალდებულების შესრულებაში.

„ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა ადგილას (361 II). ვალდებულება სრულდება ჯეროვნად, თუ მოვალე დაპირებულ ქმედებას ასრულებს და შეთანხმებულ შედეგს იწვევს, ხოლო კეთილსინდისიერად, როცა მოვალის ქცევა კრედიტორის გონივრულ მოლოდინსა და ბრუნვის წეს - ჩვეულებებს შეესაბამება.

შესრულების ვალდებულება 316 I ის მნიშვნელობით უფრო ფართო ცნებაა (Leistung), ვიდრე ხელშეკრულების ესრულების ვალდებულება (Vertragserfüllung). ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 316 - ე მუხლში საუბარია ზოგადად ვალდებულებაზე და არა ხელშეკრულებაზე. შესაბამისად, 316 I - ე მუხლის მნიშვნელობით შესრულების ვალდებულება არ გულისხმობს მხოლოდ ხელშეკრულების შესრულებას (მაგ . მყიდვ ელისათვის საქონლის გადაცემას), არამედ ასევე მოიაზრებს მეორადი შესრულების ვალდებულებებს (მაგ. ზიანის ანაზღაურება ნივთობრივი ნაკლის მქონე საქონლის გადაცემის შემთხვევაში), ან იმ შესრულების ვალდებულებებს, რომელიც მიმართულია მაგ. დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ან გულისხმობს უსაფუძვლოდ მიღებული სარგებლის უკან დაბრუნებას. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში სახეზეა შესრულების ვალდებულება, რომელიც კრედიტორს უფლებას აძლევს, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება (მაგ. „ა“ - მ დააზიანა „ბ“ - ს

ავტომანქანა. „ ა“ ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი ნატურით ან ფულადი კომპენსაციით. ესეც შესრულებაა 316 I - ის მნიშვნელობით)“[43]

ვალდებულების შესრულება არ გამოიხატება მარტოოდენ ვალდებულების ფორმალურ შესრულებაში, მოვალეს ისევე როგორც კრედიტორს, ევალება გამოიჩინოს გულისხმიერება კრედიტორის ინტერესების მიმართ და ვალდებულება შეასრულოს ჯეროვნათ, ესეიგი იმ ვადაში, იმ ადგილას და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებით.

5.2. მოვალის ინტერესების დაცვის მექანიზმები ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში.

ცხადია მოვალე ვალდებულია ნებაყოფლობით შეასრულოს ვალდებულება, თუმცა გარემოებათა გათვალისწინებით არაა იშვიათი შემთხვევა ვალდებულების შეუსრულებლობა, განსახილველ შემთხვევაში არაარსებითია შეუსრულებლობის მიზეზი, ნებითი იქნება თუ უნებლიე, სამართალსუბიექტებს ნებისმიერ შემთხვევაში გააჩნიათ უფლებები ისევე როგორც ვალდებულებები და სადაო სიტუაციებში დაუშვებელია ამ უფლებათა არამაერთლზომიერი შეზღუდვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი კრედიტორს გააჩნია მოთხოვნა, მოვალის უფლებათა მარტოოდენ ამ მიზეზით უგულებელყოფა დაუშვებელია.

სამაგისტრო კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია სათითაოდ (ისევე როგორც ზედა თავში) განვიხილოთ მოვალის უფლებამოვალეობები იმ მოცემულობაში როდესაც დარღვეულია ხელშეკრულების პირობები და მხარეთა შორის წარმოშობილია დავა.

[43] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები; მუხლი 316 ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: http://www.gccc.ge/წიგნი-მესამე/ზოგადი-ნაწილი/ზოგადი-დებულებანი-ვალდებ/მუხლი-316/

5.2.1. **სანოტარო წარმოება.**

როგორც წინა თავში აღინიშნა ნოტარიუსისათვის სააღსრულებო ფურცლის გაცემისათვის მიმართვა კრედიტორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ უფლებას წარმოადგენს, თუმცა დასახელებულ წარმოებაში, მოვალის მონაწილეობა ფაქტობრივად სრულად უგულებელყოფილია, ნოტარიუსს, ან კრედიტორს არათუ რაიმე მტკიცებულების გამოთხოვის, არამედ შეტყობინების ვალდებულებაც კი არ აკისრია, ამ წარმოებაში მხოლოდ კრედიტორი მონაწილეობს ცალმხრივად, ამასთან ნოტარიუსი არ ითხოვს კრედიტორის განცხადებაში მითითებული ფაქტების დამადასტურებელ მტკიცებულებებს. ფორმალურად მოვალეს საკუთარი ინტერესების დაცვა შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სააღსრულებო ფურცელი გაცემულია, ისიც მას შემდეგ, როდესაც სააღსრულებო წარმოებაა დაწყებული, რამეთუ მოვალისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის შეტყობინება არც დასახელებული ფაქტის შემდგომ ხორციელდება.

5.2.2. **სასარჩელო წარმოება.**

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გასაცემად მიმართვისგან განსხვავებით, სასარჩელო წარმოებისას, მოვალის სათანადო წესით მოწვევა უპირობო ვალდებულებაა, ამ მიზნით კანონმდებლის მიერ გათვალისწინებულია მთელი რიგი მექანიზმები, შეტყობინების ჩაბარებას უზრუნელყოფს თავად კრედიტორი, თუ იგი ამას ვერ შეძლებს, მაშინ სასამართლო იღებს ყველა ღონისძიებას, რომ მოვალისათვის ცნობილი გახდეს დავის შინაარსი და საფუძვლები (იხ. 4.2.2. თავი.)

5.2.2.1. კრედიტორის სარჩელი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით პუნქტობრივადაა მოწესრიგებული მოვალის (მოპასუხის) უფლება მოვალეობები, მას შემდეგ რაც მას ჩაბარდება საქმის მასალები (სარჩელი და თანდართული დოკუმენრტაცია), უფრო კონკრეტულად დასახელებული მოწესრიგებულია მითითებული კოდექსის 448-ე მუხლით, რომელიც განსაზღვრავს, რომ მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს სარჩელის პასუხი (შესაგებელი) და მასში მიუთითოს: „ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც მას შეაქვს პასუხი (შესაგებელი); ბ) მოპასუხის, მისი წარმომადგენლის (თუ პასუხი (შესაგებელი) შეაქვს წარმომადგენელს), მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. პასუხში (შესაგებელში) შესაძლოა მოპასუხემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები. თუ მოპასუხე იურიდიული პირია ან ინდივიდუალური მეწარმეა – თავად მოპასუხე, ხოლო თუ მას ჰყავს წარმომადგენელი (გარდა კანონიერი წარმომადგენლისა) – მისი წარმომადგენელი ვალდებულია მიუთითოს ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი; გ) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს და რა ნაწილში; დ) თუ მოპასუხე სარჩელს არ ცნობს, რა კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებს ემყარება მისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელის წინააღმდეგ; ე) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოპასუხის მიერ მითითებულ გარემოებებს; ვ) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას; ზ) არსებობის შემთხვევაში, მოპასუხის შუამდგომლობები: ზ.ა) ხომ არ ექნება აცილება

სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა. შ.; ზ.ბ) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირად; ზ.გ) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე; ზ.დ) სხვა სახის შუამდგომლობები; თ) პასუხისთვის (შესაგებლისთვის) დართული დოკუმენტების ნუსხა; ი) მოპასუხის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე. 3. პასუხს (შესაგებელს) უნდა ერთოდეს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ იგი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს. 4. პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში აღნიშნულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში აღნიშნულ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტებით. 5. მოპასუხე ვალდებულია პასუხს (შესაგებელს) დაურთოს მასში აღნიშნული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან (შესაგებელთან) ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია ამის შესახებ მიუთითოს პასუხში (შესაგებელში). მოპასუხე უფლებამოსილია მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა. 6. მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ. პასუხი (შესაგებელი) უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილ მოთხოვნებს. 7. მოპასუხეს შეუძლია პასუხის (შესაგებლის) შეტანისას განაცხადოს, რომ თანახმაა, წერილობითი მასალები მიიღოს ელექტრონული ფოსტით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო, როგორც წესი,

მოპასუხეს მასალებს უგზავნის ელექტრონული ფოსტით. 8. პასუხს ხელს აწერს მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი.“[44]

ამდენად როგორც ზემოთ მითითებული ნორმიდან ირკვევა, მოპასუხე (მოვალეს) ეძლევა ფაქრთო შესაძლებლობა შეედავოს კრედიტორს მის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობაში და არ დაუშვას მოთხოვნის უმართებულო ოდენობით დაკმაყოფილება, მისი მონაწილეობა წარმოებაში ფაქტობრივად გარანტირებულია, უფრო მეტიც, მოთხოვნის მართებულობა მოწმდება მტკიცებულებებისა და მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ერთმანეთთან შეჯერებით.

დასახელებულ წარმოებაში საგულისხმოა თავად მტკიცების ტვირთის გადანაწილების სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ყველა მხარემ უნდა ადასტუროს მისთვის ხელსაყრელი გარემოებები[45], ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კრედიტორს ეკისრება თითოეული იმ ფაქტის მტკიცებულებებით დადასტურება რომელსაც იგი უთითებს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად, რაც თავისმხრივ იცავს მოვალის ინტერესებს, იმ თვალსაზრისით, რომ არ მოხდეს მოვალისათვის იმაზე მეტი ვალდებულების დაკისრება, ვიდრე მას რეალურად გააჩნია, საერთოდ მისი არსებობის შემთხვევაში.

5.2.2.2. მოვალის სარჩელი

ზედა თავში ვიმსჯელეთ იმ შემთხევაზე, როდესაც კრედიტორი ცდილობს დარღვეული ვალდებულების შესრულება მიიღოს სასარჩელო წარმოების გზით, თუმცა თუკი კრედიტორი მიმართავს ნოტარიუსს და სააღსრულებო ფურცელს მიიღებს, ასეთ შემთხვევაში როლები იცვლება და უკვე მოვალეს წარმოეშვება ვალდებულება იდაოს სასარჩელო წარმოებით, იმ მოთხოვნის

[44] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 448-ე მუხლი.
[45] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი.

არამართებულობის დასადასტურებლად, რომლის შესასრულებლადაც კრედიტორმა მიიღო სააღსრულებო ფურცელი.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის სპეციფიკის გათვალისწინებით, დისბალანის შესაძლებლობა, რეალურ მოთხოვნასა და სააღსრულებო ფურცლით გათვალისწინებულ თანხას შორის, არაა დაბალი, მითუფრო იმის გათვალისწინებით, რომ სააღსრულებო ფურცლის მთელი მოცულობა დამოკიდებულია კრედიტორის შეხედულებებსა და განცხადებებზე.

მოსარჩელეს, ამ შემთხვევაში მოვალეს უმართებულოდ გაცემული სააღრსულებო ფურცლის მიმართ, შეუძლია აღძრას სარჩელი და მოითხოვოს სააღსრულებო ფურცელში ცვლილების შეტანა, მისი გაზრდილი ოდენობის შემთხვევაში, ან სააღსრულებო ფურცლის გაუქმება, თუკი მას უკვე შესრულებული აქვს ვალდებულება ან იგი აღარ არსებობს ამათუ იმ მიზეზით.

როლების შეცვლის პირობებში თავისთავად იცვლება მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების პრონციპი, თუ კრედიტორის მიერ სარჩელის წარდგენის შემთხვევაში მას ეკისრება ვალდებულების არსებობის დადასტურება, აქ მოვალეა ვალდებული დაადასტუროს ვალდებულების შესრულება თუ მისი ნაწილობრივ შესრულება.

გამომდინარე იქიდან, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არ აჩერებს სააღსრულებო წარმოებას, (სააღსრულებო ფურცლის მოქმედებას) ამასთან მისი შეჩერება ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია სარჩელის მიზნებისთვის (დავის დასრულებამდე სააღსრულებო ფურცელი შესაძლოა აღსრულებული აღმოჩნდეს.) მხარე იძულებულია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნელყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით, რაზედაც დაწვრილებით 3.3.1. თავში ვისაუბრეთ.

5.2.3. გამარტივებული წარმოება.

აღსრულების ეროვნულ ბიუროში, გამარტივებული საქმის წარმოების საფუძველს წარმოადგენს კრედიტორის განცხადება, რომელიც უნდა ცალსახად ადასტურებდეს ვალდებულების არსებობას, ამასთან აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია ფორმალური თვალსაზრისით შეამოწმოს მოთხოვნასა და წარმოდგენილ დოკუმენტთა შორის ურთიერთთანხმობა.[46](იხ.4.2.3. თავი)

გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინება, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესაბამისად ჩაბარდება მოვალეს[47], რის შემდეგაც მოვალეს ეძლევა 10 დღიანი ვადა, რათა წარმოადგინოს პროტესტი, რომელიც უნდა შეიცავდეს: „ა) რესპონდენტის დასახელებას, პირად/საიდენტიფიკაციო ნომერს, მისამართს; ბ) გამარტივებული წარმოების ნომერს, აპლიკანტის დასახელებას; გ) პროტესტის შემთხვევაში – მოთხოვნის სრულ უარყოფას (თუ რესპონდენტის წინააღმდეგ მიმართულია რამდენიმე აპლიკანტის მოთხოვნა – აღნიშვნას იმის შესახებ, თუ რომელ მოთხოვნას უარყოფს რესპონდენტი); მოთხოვნის სრულად აღიარების შემთხვევაში – მითითებას მოთხოვნის სრულად ცნობის შესახებ; მოთხოვნის ნაწილის აღიარების შემთხვევაში – მითითებას იმის შესახებ, თუ მოთხოვნის რომელ ნაწილს ცნობს რესპონდენტი;“[48]

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91^7-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად: „აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებას შემდეგ შემთხვევებში: ა) თუ რესპონდენტი არ განახორციელებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ არც ერთ მოქმედებას – დავალიანების გადახდევინების შესახებ

---

[46] „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის XVI^1 თავი

[47] იქვე, მუხლი 91^7-ე

[48] „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91^7-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ბრძანება გამოიცემა მოთხოვნის სრულ ოდენობაზე; ბ) თუ რესპონდენტი სრულად აღიარებს მოთხოვნას – დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება გამოიცემა მოთხოვნის სრულ ოდენობაზე; გ) თუ რესპონდენტი აღიარებს მოთხოვნის ნაწილს – დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანება გამოიცემა მოთხოვნის აღიარებულ ნაწილზე; დ) მხარეთა მორიგების პირობების დარღვევის შემთხვევაში – მორიგების პირობებში აღნიშნული და რესპონდენტის მიერ დაუფარავი დავალიანების ოდენობაზე."; ხოლო ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: „აღსრულების ეროვნული ბიურო იღებს გადაწყვეტილებას დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე: ა) თუ რესპონდენტი წარადგენს პროტესტს მოთხოვნაზე – გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე მიიღება მოთხოვნის სრულ ოდენობაზე; ბ) თუ რესპონდენტი დაფარავს დავალიანების ნაწილს – გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე მიიღება მოთხოვნის დარჩენილ ნაწილთან მიმართებით; გ) თუ რესპონდენტი აღიარებს მოთხოვნის ნაწილს – გადაწყვეტილება დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე მიიღება მოთხოვნის დარჩენილ ნაწილთან მიმართებით. 7. დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება ეცნობება აპლიკანტს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით."

ამდენად დასახელებული მსჯელობიდან და მითითებული ნორმებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამარტივებულ წარმოებაში მოვალეს ექმნება შესაძლებლობა დააფიქსიროს მისი დამოკიდებულება კრედიტორის მოთხოვნასთან მიმართებით, მას აქვს საშუალება უარყოს ან დაადასტუროს მოთხოვნა, სრულად ან ნაწილობრივ, ამასთან დავალიანების გადახდევინების შესახებ განკარგულების გამოცემა დამოკიდებულია მოვალის პროტესტზე, კერძოდ თუკი მოვალე აღიარებს ვალდებულებას სრულად ან ნაწილობრივ,

მაშინ გამოიცემა განკარგულება დავალიანების გადახდევინების შესახებ, ხოლო თუკი მოვალე უარყოფს მოთხოვნას, მაშინ აღსრულების ეროვნული ბიურო გამოსცემს განკარგულებას, დავალიანების გადახდევინებაზე უარის თქმის შესახებ.

6. სტატისტიკა.

6.1. სტატისტიკური მონაცემები.

სამაგისტრო კვლევის მიზნებითვის, ნაშრომის ავტორმა მიმართა აღსრულების ეროვნულ ბიუროს, საერთო სასამართლოების დეპარტამენტს და საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, რომელთაც დაესვა შემდეგი კითხვები:

აღსრულების ეროვნულ ბიუროს წარედგინა შემდეგი განცხადება: „გთხოვთ მომაწოდოდ სტატისტიკური ინფორმაცია, საქართველოს ნოტარიუსების მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყეული სააღსრულებო წარმოებათა შესახებ 2010 წლიდან დღემდე პერიოდში. კერძოდ გთხოვთ მაცნობოთ მითითებულ პერიოდში რა ოდენობით ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი: 1) წარედგინა აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღსასრულებლად და აქედან რამდენ მათგანზე დაიწყო სააღსრულებო წარმოება. 2) დაწყებული სააღსრულებო წარმოებათაგან რამდენი შეჩერდა, სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების ან/და სხვა საფუძვლით. 3) რამდენი სააღსრულებო წარმოება შეწყდა სასამართლოს გადაწყვეტილებით და რამდენი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით. 4) რამდენი სააღსრულებო ფურცელი აღსრულდა იმ სახითა და მოცულობით, როგორც იგი წარდგენილი იყო თავდაპირველად და რამდენი აღსრულდა შეცვლილი, შემცირებული ოდენობით, შეცვლილთაგან რამდენი შეიცვალა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით და რამდენი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით. 5) რამდენი ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში შევიდა ცვლილება მას შემდეგ, რაც მოხდა მისი აღსრულება, მათ შორის ქონების რეალიზაციის შემდგომ.“

დასმულ კითხვაზე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ პასუხი გვეცნობა 2021 წლის 13 მაისის # 28470 წერილით, სადაც აღნიშნული იყო შემდეგი: „თქვენი 2021 წლ ის 26 აპრილის № 33572 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ ,,აღსრულების ეროვნული ბიუროს'' სერვისებისა და ბრენდის განვითარების

სამსახურში სტატისტიკური მონაცემების მიღება- ამუშავება წარმოებს სპეციალურად შემუშავებული ფორმების მიხედვით, ტერიტორიული ბიუროებისა და სტრუქტურული ერთეულებიდან ოწოდებული მონაცემების საფუძველზე. ზემოაღნიშნული სტატისტიკური ფორმები არ ითვალისწინებს ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით სააღსრულებო წარმოებათა ცალკე გამიჯვნას, შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ აღნიშნული მონაცემები."

ამდენად ჩვენს მიერ გამოთხოვილ სტატისტიკური ინფორმაციის გადმოცემაზე აღსრულების ეროვნულმა ბიურომ ფაქტობრივად უარი განაცხადა, თუმცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრ, მერაბ როსტიაშვილს შესრულებული აქვს სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა"[49], სადაც ავტორი უთითებს აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლის გამოსახულია შემდეგი ცხრილით:

[49] სამაგისტრო ნაშრომი ხელმისაწვდომია ბმუზლზე:
https://openscience.ge/bitstream/1/1026/1/samagistro%20rostiashvili.pdf

წელი	ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოებების რაოდენობა	ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე დაწყებული სააღსრულებო წარმოებებიდან შეჩერებული სააღსრულებო საქმეების რაოდენობა	%
2010	304	20	6,58%
2011	951	144	15,14%
2012	1864	386	20,71%
2013	2490	629	25,26%
2014	2580	588	22,79%
2015	3754	738	19,66%
2016	4322	802	18,56%
2017	4899	646	13,19%
2018	4869	538	11,05%
2019	1786	150	8,40%
საშუალოდ შეჩერებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი			16,13

საერთო სასამართლოების დეპარტამენტს წარედგინა შემდეგი განცხადება: „გთხოვთ მომაწოდოთ სტატისტიკური ინფორმაცია, საქართველოს საერთო სასამართლოებში ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელთა გასაჩივრების შესახებ, 2010 წლიდან დღემდე. კერძოდ გთხოვთ მაცნობოთ მითითებულ პერიოდში რამდენი სარჩელი წარედგინა საერთო სასამართლოებს, ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის

გაუქმების ან/და მასში ცვლილების შეტანის მოთხოვნით, ასევე გთხოვთ მაცნობოთ რამდენი მათგანი დაკმაყოფილდა (ნაწილობრივ ან სრულად) ანუ სასამართლოს გადაწყვეტილებით რამდენ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში შევიდა ცვლილება ან გაუქმდა“

დასახელებულ კითხვაზე, ნაშრომის ავტორს სასამართლოების დეპარტამენტი დაუკავშირდა სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით და განუმარტა, რომ მსგავსი სტატისტიკური ინფორმაციის აღრიცხვა არ წარმოებდა მათ მიერ, შესაბამისად ისინი ვერ შეძლებდნენ მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენას.

საქართველოს ნოტარიუსთა პალატას წარედგინა შმედეგი განცხადება: „გთხოვთ მომაწოდოდ სტატისტიკური ინფორმაცია, საქართველოს ნოტარიუსების მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცლის შესახებ 2010 წლიდან დღემდე პერიოდში, კერძოდ გთხოვთ მაცნობოთ რა რაოდენობის სააღსრულებო ფურცელი გაიცა საქართველოს ნოტარიუსების მიერ მითითებულ პერიოდში, ამასთან გთხოვთ, ასეთი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, მაცნობოთ რა რაოდენობით სააღსრულებო ფურცელი გასაჩივრდა და აქედან რამდენ მათგანში შევიდა ცვლილება ან/და გაუქმდა.“

დასახელებულ განცხადებაზე, ნოტარიუსთა პალატის მიერ პასუხი გაგვეცა 2021 წლის 13 მაისის # 16/5352 წერილით, რომლის თანახმადაც: „თქვენი 2021 წლის 22 აპრილის განცხადების [ნოტარიუსთა პალატაში რეგისტრაციის N5443/16; თარიღი: 26,04.2021] პასუხად, რითაც ითხოვთ სტატისტიკურ ინფორმაციას 2010 წლიდან 2021 წლის 26 აპრილამდე პერიოდში ნოტარიუსების მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის თაობაზე, სანოტარო რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, გაცნობებთ შემდეგს: 2010 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 22 აპრილამდე პერიოდში გაიცა 36 010 ცალი სააღსრულებო ფურცელი, გაუქმდა 19

ცალი სააღსრულებო ფურცელი, ცვლილება განხორციელდა 1072 სააღსრულებო ფურცელში. რაც შეეხება გასაჩირებული სააღსრულებო ფურცელის თაობაზე ინფორმაციას, ამ სახის სტატისტიკა ნოტარიუსთა პალატაში არ იწარმოება."

6.2. სტატისტიკური ინფორმაციის შეფასება

ჯამში კვლევისას მოპოვებულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გასაჩივრება არცთუ მცირე ოდენობით ხორციელდება, რისი მაპროვეცირებელი ფაქტორიც უპირველესად სააღსრულებო ფურცელში ასახული დასაკმაყოფილებელი მოთხოვნის გადაჭარბებული ოდენობა შესაძლოა წარმოადგენს, აღნიშნული დასკვნის საშუალებასა სააღსრულებო ფურცლების გაუქმებასთან შედარებით, მათში ცვლილების შეტანის განსაკუთრებულად დიდი ოდენობა იძლევა.

როგორც წინა თავებში აღინიშნა, ნოტარიუსისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების ერთ-ერთი მიზანი სწორედ სასამართლოში დავების შემცირება გახლდათ, რაც შესაძლოა გარკვეულწილად მიღწეულად ჩაითვალოს, რადგან პოტენციურად სასამართლოში წარსადგენ კრედიტორის მოთხოვნათა და მოვალის მიერ წარდგენილ სარჩელთა შორის სხვაობა არსებითია, თუმცა მოყვანილი სტატისტიკა არ იძლევა სრულ სურათს, კერძოდ არაა ასახული რამდენად დიდია იმ სააღსრულებო ფურცელთა ოდენობა, რომლის მიმართაც მოვალეს შესაძლოა პრეტენზია ჰქონოდა, თუმცა არ გაასაჩივრა სხვადასხვა მიზეზის გამო. (რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ინფორმაციის არ ქონაში; სასარჩელო წარმოებისთვის საჭირო მატერიალური სახსრების არ ქონაში და ა.შ.) აღნიშნული დაშვების კონკრეტულ სტატისტიკაში ასახვა ავტორისთვის მოცემულ ეტაპზე

შეუძლებელი აღმოჩნდა, თუმცა ამ დაშვების შეფასებაში გათვალისწინება აუცილებელია რამეთუ იგი ბუნებრივად გამომდინარეობს სტატისტიკის შეფასებიდან, კერძოდ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემა პროპორციულად ასახავს ნებაყოფლობით შეუსრულებელ ვალდებულებებს, ხოლო ნებაყოფლობით შეუსრულებელი ვალდებულება პროპორციულია მოვალის გადახდაუნარიანობასთან, სასამართლოში სარჩელის წარდგენისათვის საჭირო მატერიალური სახსრის არ არსებობა ლოგიკურად გონივრულ მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

დასკვნა

სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებანი, როგორც წესი ნებაყოფლობით სრულდება, თუმცა არსებობს შემთვევები როდესაც დღის წესრიგში დგება მოვალის იძულება შეასრულოს ვალდებულება, არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე, დასახელებულის უზრუნელყოფის საშუალებას კანონმდებელი კრედიტორს აძლევს რამოდენიმე განსხვავებული წესით, კერძოდ კრედიტორს შეუძლია დაიწყოს წარმოება მოვალის მიმართ თანხის დაკისრების და სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით: ა) სასარჩელო წარმოებით; ბ) აღსრულების ეროვნულ ბიუროში, გამარტივებული საქმის წარმოების გზით და გ) ნოტარიუსისთვის მიმართვით, სააღსრულებო ფურცლის გასაცემად. წარმოებათა შედეგის, გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, რაც თავისი შინაარსით არის აქტი, რომლის მეშვეობითაც კრედიტორს ეძლევა საშუალება, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა იძულებითი მექანიზმის გამოყენებით.

ნოტარიუსისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების, დეკალარირებულ მიზანს, კრედიტორის სწრაფი და ეფექტური დაკმაყოფილება, ვალდებულებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი სამართლებრივი დავების შემცირება და სამოქალაქო ბრუნვის სიჩქარის გაზრდა წარმოადგენს, რაც თავისთავად დაცვის ღირსი ინტერესებია, თუმცა მხედველობაშია მისაღები, რომ დაუშვებელია ერთი სამართლებრივი სიკეთის დაცვის მიზეზით, არათანაბარზომიერად შეიზღუდოს მეორე, თუნდაც ნაკლები ღირებულების მატარებელი სამართლებრივი სიკეთე.

კვლევის შედეგების შეჯამების თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნოტარიუსისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების მინიჭება, კრედიტორისთვის მნიშვნელოვნად ზრდის შესრულების იძულებითი წესით მიღების სიჩქარეს, თუმცა დღევანდელი მოცემულობით, სათანადოდ ვერ უზრუნელყოფს სასამართლო დავების შემცირებას, რისი უმთავრეს მიზეზადაც წარმოებაში მოვალის მონაწილეობის სრული უგულებელყოფა შეგვიძლია მივიჩნიოთ, მხედველობაშია მისაღები დავის წარმოშობის ძირითადი მოტივი, სააღსრულებო ფურცელში ასახული აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა.

კვლევაში განხილული იქნა ის სამართლებრივი მექანიზმები, რომელსაც კანონმდებელი სთავაზობს კრედიტორს, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში უფლებრივი რესტიტუციის საშუალებად, ხოლო მათი შეჯამებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ სამართლებრივი პრინციპი, რაც ვალდებულების იძულებითი წესით აღსასრულებამდე, შესაბამისად სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე ორივე მხარის აუცილებელ მონაწილეობაში, მათი პოზიციების მოსმენაში გამოიხატება, აღნიშნული თავისმხრივ მხარეთა თანაბარუფლებიანობას უზრუნელყოფს.

კრედიტორის ნოტარიუსისთვის მიმართვიდან, სააღსრულებო ფურცლის გაცემამდე, მოვალის მონაწილეობა სრულად უგულებელყოფილია, რაც მნიშვნელოვნად არღვევს მხარეთა თანსაწორობის პრინციპს, მოვალე არაფრითაა დაცული არაკეთისლინდისიერი კრედიტორისგან, ანუ ასეთი სურვილის არსებობის შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს სააღსრულებო ფურცელი იმ ოდენობაზეც, რომელიც მოვალეს რეალურად შესრულებული აქვს.

ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების მიზანი, მხოლოდ ნაწილობრივ შეგვიძლია ჩავთვალოთ

მიღწეულად, სამართლებრივი დავები შემცირებულია ნაწილობრივ, თუმცა არაიმდენად რამდენის მიღწევის შესაძლებლობაც არსებობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება და მოვალის მონაწილეობა სააღსრულებო ფურცლის გაცემისას გადეს სავალდებულო, კერძოდ ნოტარიუსს დაევალოს მოვალის ინფორმირება, კრედიტორის მიერ მისთვის სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით მიმართვის, სააღსრულებო ფურცლით მოთხოვნილი ოდენობის, აღსასრულებლად მისაქცევი ვალდებულების (რომელ ხელშეკრულებაზე ითხოვს კრედიტორი სააღსრულებო ფურცლის გაცემას) და ვალდებულების ნებაყოფლობით შესრულების შესაძლებლობის შესახებ. ამასთან მოვალეს უნდა განესაზღვროს გონივრული ვადა წარმოადგინოს პოზიცია ვალდებულების ოდენობასთან დაკავშირებით და ასეთის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი.

დასახელებები ცვლილებების განხორციელება უზრუნელყოფს მოვალის დაცვას არაკეთილსინდისიერი კრედიტორისგან, დაბალანსებს მხარეთა უფლებებს და მნშივნელოვნად გაზრდის ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის უფლებამოსილების მინიჭების მიზნის მიღწევის ხარისხს.

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს სმოქალაქო კოდექსი.
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
4. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი.
5. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ.
6. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება #71; „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.
7. „სალექციო კურსი სამართლის პროფესიები“- გიორგი გ, თუმანიშვილი
8. „სანოტარო სამართალი“ I წიგნი/ I გამოცემა, თბილის 2016 - მარიკა გოგოლაძე; გიორგი მარიამიძე.
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე # ას-786-743-2015
10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე # 2ბ/5878-14
11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება, საქმე 2ბ/5617-14
12. რეკომენდაცია სააღსრულებო ფურცლის გამოყენებასთან დაკავშირებით, საქართველოს ნოტარიუსტა პალატა, 2015.

13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინება # 2/22/930; 2017 წელი 28 დეკემბერი ქ. ბათუმი. „საქართველოს მოქალაქე ანა ჯალაღონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

14. „მოსახლეობა მევახშეობის პირისპირ მტაცებლური დაკრედიტება და მისი სოციალური შედეგები, ანალიტიკური დოკუმენტი“ - ადამიანის უფლების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC თბილისი, 2020; ავტორი თათული ჭუბაბრია

15. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; იურიდიული ფაკულტეტი; კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის მაგისტრ მერაბ როსტიაშვილის სამაგისტრო ნაშრომი; თემა - ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის აღსრულების სპეციფიკა; ხელმძღვანელი - ეკატერინე ახალკაცი; თბილისი 2019; ხელმისაწვდომია: https://openscience.ge/bitstream/1/1026/1/samagistro%20rostiashvili.pdf (ბოლო შემოწმების თარიღი 28/06/2021 წელი)

16. თსუ იურიდიული ფაკულტეტი; სამართლის ჟურნალი #2 (2015) სტატია: „ნოტარიუსის უფლებამოსილების ფარგლები სააღსრულებო ფურცლის გაცემისას“ ავტორები - დარია ლეგაშვილი, რაჟდენ კუპრეიშვილი (გვ. 54 - 79)